

არწივი და სამი სკნელი

"Полёт орла, как ход рассказа..."

ბორის პასტერნაკი

ერთ ძველ შუმერულ ცილინდრულ საბეჭდავზე, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის XXIII ს.-ით არის დათარიღებული¹, ამგარი სცენაა გამოსახული: ეს-ესაა წვეროსანმა მწყემსმა ფარეხიდან გამორეკა ორი ვერძი და მათი წინამძღოლი ბოტი (ე.ი. მთელი ფარა საბეჭდავების პირობითი ენით), რომ მის ფართოდ გახედილ თვალებს საკვირველი სანახაობა მოეგლინა – არწივის ფრთებზე ამხედრებული კაცი ვინმე მიფრინავს ცაში მზესა და მთვარეს შორის; არწივს კისერი მაღლა აუწვდია და ცას შეჰყივის; ასე ყივის მზის ამოსვლისას მისი მონათესავე მითიური ფრთოსანი ანზუდი (ამ ყივილს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სხვა მნიშვნელობაც აქვს). როგორც ჩანს, კაცი და ფრთოსანი მზის ამოსვლისას გაფრინდნენ ცაში, სწორედ ამ დროს გამოჰყავს მწყემსს ფარეხიდან ჯოგი.

ჯოგი ცადაფრენილი კაცისაა, რადგან, ეჭვს გარეშეა, რომ იგი ეტანაა, რომლის შესახებაც შუმერულ მეფეთა სიაში ნათქვამია: "ეტანა – მწყემსი, რომელიც ცად ავიდა, რომელმაც ქვეყანანი მოიარა², მეფე იყო, 1560 წელს იქმოდა (მეფობას)" და შემდეგ: "ბალახი – ეტანის ძე, 400 წელს იქმოდა (მეფობას)"³.

საგულისხმოა, რომ ეს ცადამავალი მეფე იგულისხმება აგრეთვე ხთონურ ღვთაებათა წრეში. ერთგან გარეული ჯოგების მფარველ სუმუკანთან ერთად⁴, რადგან თავადაც ჯოგების მეუფეა (šar būli), როგორც იწოდება იგი "ეტანას მითში"⁵. მეორეგან მას გილგამეშთან და ქვესკნელის მეკარესთან ერთად ვხედავთ, ვითარცა ქვესკნელად ჩამავალთა მეოხეს⁶.

როგორც ვხედავთ, ეს კაცი, ეტანას სახელით წოდებული, ორმაგ ბუნებას ავლენს: ერთი მხრივ, მას, არწივზე ამხედრებულს, ცის სფეროები მოუვლია; მეორე მხრივ, იგი ქვესკნელური არსებაა. ციდან ქვესკნელამდე ძევს მისი კაცობრივი ცხოვრება, ტანჯვითა და სურვილებით სავსე, თუმცა მეფეა და ურიცხვი ჯოგის პატრონი.

თუმცა ეტანა – ქალაქ ქიშის პირველი დინასტიის შუმერული მეფე – ასეთი მნიშვნელოვანი თავგადასავლის მქონეა, მის შესახებ შუმერულ ენაზე არაფერია შემონახული, გარდა მეფეთა სიაში ნახსენები მწირი ცნობისა. –

პატრიარქალური მწყემსი არგანით ხელში, ჯიშინი და პოხილი ცხოვარი, თავები რომ ზეაღუპრიათ და მიშტერებიან თავიანთი მეუფის ცადაფრენას, მყივარი არწივი და მის ზურგზე დანდობილად შემომჯდარი კაცი, მათ ქვემოთ მიწაზე ხელაპყრობილი, დაჩოქილი ქალი ვინმე და ორი უზარმაზარი ძაღლი მათი შემეურე, მწყემსური ყოფისათვის აუცილებელი საგნები (სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქოცოები და ლაგვინები), სამ რიგად განლაგებული ცხრა რკალი (ნაყოფის სიმბოლო შემერულ საბეჭდავებზე), რომელთაგან ერთი უკვე მოუწყვეტია ეტანას და ძირს ეშვება (საბეჭდავზე ერთდროულად გამოსატულია ორი თანამიმდევარი მომენტი) – იმ ძველ საბეჭდავზე გამოსახული ერთადერთი ეს სცენაა შემორჩენილი შემერული ეპოქიდან; იგი გარკვეული წარმოდგენებით არის შთაგონებული და, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შ მერულ ენაზე სიტყვიერი ტექსტიც შეესაბამებოდა.

მაგრამ ეტანასა და არწივის ამბავს და მათ ცადაფრენას მოგვითხრობს ასურულ ენაზე მოგვიანებით ჩაწერილი თხზულება, რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე ვარიანტით მოაღწია⁷. მიწვერება იგი ვინმე ლუ-ნანას და "ეშვარ ეტანას" სახელწოდებით იხსენიება აშურბანიპალის ბიბლიოთეკის კატალოგში⁸.

ეს თხზულება სამი, ერთმანეთისაგან უანრობრივად განსხვავებული ნაკვეთისაგან შედგება. პირობითად მათ შეიძლება ეწოდოს: მითი, არაკი და ლეგენდა. სწორედ ამ უკანასკნელ ნაწილში არის მოთხრობილი ის ამბავი, რომლის ილუსტრაციას ზემოხსენებული ცილინდრული საბეჭდავი წარმოადგენს და რომლის შედეგიც ნახსენებია ქიშის პირველი დინასტიის მეფეთა სიაში მწყემს ეტანასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ აქადურ ენაზე შემორჩენილი ლეგენდა შემერულიდან უნდა მომდინარეობდეს; ეს უნდა ყოფილიყო დინასტიური ამბავი, რომლის მთავარ მოტივს უმემკვიდრეო მეფის მიერ შობის ბაღახის ძებნა წარმოადგენდა. მეფისადმი მოწყალედ განწყობილმა შამაშმა⁹ ორმოში ჩაგდებულ არწივთან გაგზავნა იგი, რათა არწივს ანუს ცამდე აეყვანა და შობის ბაღახი ეპოვნინებინა. ხოლო არწივის ორმოში ჩაგდების ამბავი არაკის თემაა, რომელსაც დამოუკიდებელი წარმოშობა აქვს და მრავალი ხალხის ფოლკლორში მოექცენება პარალელი.

ამგვარად, სამი დამოუკიდებელი ნაკვეთი ექსოვება ერთმანეთს "ეშვარ ეტანაში"; თითოეული მათგანი გარკვეულ მითოსურ რემინისცენციებს შეიცავს, რომელნიც მეტ-ნაკლებ როლს ასრულებს მთლიანი ნაკვეთის ("ეშვარ") იდეურ ჩანაფიქრში.

"ეშგარ ეტანა" ძალიან შორიდან იწყება, შეიძლება ითქვას, *ab ovo*, ქვეყნიერების გაჩენიდან; ეს არის ე.წ. პროლოგი ცაში: აქ მოთხრობილია ამბავი მიწისა და მის ბინადართა ბედისწერის დასაზღვრისა, ვიდრე "დანისლულ" ხალხს ციდან მეფობა მოეველინებოდა. მაშინ არ იყო არც მეფე, არც გვირგვინი – ყველა ეს რეგალია ცაში ეწყო ანუ წინაშე; ამის გამო კაცნი მოკლებულნი იყვნენ ღვთაებრივ რჩევას, მეფის პირიდან ამომავალს; შემდეგ, როგორც იქნა, დაეშვა ზეციდან დიდხანს ნანატრი ხელმწიფება – *nam-lugal*, ერთ-ერთი იმ ფუნდამენტურ არსთაგანი (*me*-ს სახელწოდებით რომ არის ცნობილი "სოციოლოგიაში"), რომელნიც საფუძვლად უდევს მთელს კაცობრივ ცივილიზაციას და ღვთაებრივი წარმოშობისაა. რა კავშირი აქვს ამ ხასიათის პროლოგს "ეშგარ ეტანასთან"?

ამგვარივე პროლოგი უძღვის წინ გაბაასების ჟანრის ნაწარმოებს სათაურით "თამარისკი და დანაკის კუდი": "დიდი ხნის წინათ... ქვეყნიერების ღმერთებმა ანუმ, ენლილმა და ეამ ბჭობა მოიწვიეს; მათ შორის იჯდა შამაში, მათ შორის იჯდა ღმერთთა ქალბატონიც. ადრე ხელმწიფება არ იყო ქვეყნად და მეუფება კაცთა ზედა ღმერთებს ეპყრათ... "მეფობა ციდან ჩამოვიდა და მოკვდავ კაცს დაეკისრა მისი აღსრულება"¹⁰. რა აქვს საერთო ამ პროლოგს თამარისკისა და დანაკის კუდის გაბაასებასთან? იმ ლოგიკით, რასაც დღეს ჩვენ ვუყენებთ მხატვრულ ნაწარმოებს, ასეთი დასაწყისი სრულიად ზედმეტია. ერთადერთი გამართლება თითქოს ისაა, რომ ამ პირველმეფემ თავის ბაღში დარგო ეს ორი ხე (უნდა ვიგულისხმეთ: პირველი ხეები), რომელნიც შემდგომში ერთმანეთს პირველობაში შეეცილებიან.

ასევე *ab ovo* იწყება ერთი შუმერული სიმღერა, რომელიც ცნობილია სათაურით "გილგამეში და ტირიფი"¹¹: "... ოდეს ზესკნელი ხმელეთს განეშორა, ხმელეთი ზესკნელს განეწვალა, ოდეს კაცთა მოდგმის თესლი დაკმვიდრდა, ოდეს ანმა ზესკნელი მიიკუთვნა, ენლილმა ხმელეთი მიიკუთვნა, ერეშქიგალმა "ქური" ძღვნად მიიღო...". ბუნდოვანი პასაჟის შემდეგ ნათქვამია: "მას უამსა ხე ერთი, ტირიფი ერთი, ხე ერთი, / წმინდა ბურანუნას¹² პირას დარგულიყო, / ბურანუნას წყალი არწყულებდა..." ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ პროლოგებს ერთი რამ აქვთ საერთო: სამივე გვამცნობს, რომ ქაოსის განწვალალებისა და კაცობრივი ცხოვრების (მიკროკოსმოსის) მოწყობის შემდეგ გამოჩნდება ხე; ერთგან ეს ხე ორი სახითაა გამოვლენილი (თამარსკი და დანაკის კუდი) და, როგორც ჩანს, მოწყვეტილის მითოსურ ფესვებს, ან ძალზე შორეული კავშირი აქვს მათთან.

შემდეგი პასაჟი გვამცნობს ამ ხის არაჩვეულებრივ ბუნებას. შუმერულ თქმულებაში ნათქვამია: "მის ფესვებში მოუნუსხველმა გველმა ბუდე მოიწყო, მის ტროებში ფრთოსანმა ანზუდმა ბარტყები დაისხა". ხოლო "ემგარ ეტანას" არაკში ვკითხულობთ: "ხის მწვერვალზე იბარტყა არწივმა, / ცარბათის-ხის ძირას გველმა წიწილები გამოჩეკა".

აქ ვხედავთ ერთიანი სამყაროს უძველეს და უმარტივეს დანაწილებას ორ პარალელურ მხარედ, როგორც ეს ნაგულისხმევია შესაქმის აქადურ მითში: "ოდეს ზემოთ ზეცა არ იყო ხმობილი, / ქვემოთ ხმელეთს სახელი არ ერქვა", ამავე მითში ნახსენებია წყვილი ღვთაება "ქი-შარ" (ქვემო ყოვლადობა) და "ან-შარ" (ზემო ყოვლადობა). ხსენებულ ხეში ასახულია ეს დიხოტომია სამყაროსი: გველი ხთონური არსებაა და მისი ადგილი ფესვებშია (რომელთაც სხეულებრივადაც შეჰგავს), არწივი ცის ბინადარია, ბუდე ხის კენწეროზე აქვს. ამრიგად, ხე ცოცხალი სიმბოლოა ორი სამყაროს შემაერთებელი წარმოსახვითი ღერძისა. ხოლო ეს ღერძი ცნობილია შუმერულ კოსმოგონიაში და მისი სახელია დიმი-გალ "დიდი ღერძი". ერთ შუმერულ შელოცვაში ვკითხულობთ: "კვერთხი, ცის ღერძი; კვერთხი – ღერძი ციური სახლისა; ფესვი მისი – წყვილია, მწვერვალი მისი – ზეციური ტაბლა"¹³.

ამ ღერძის მეორე განსახებაა კოსმოსური მთა, რომლის სიმაღლე იზომება არა მთის ძირიდან, არამედ ქვესკნელიდან, სადაც გადგმული აქვს ფესვები. "ზემოთ მთის მწვერვალი ზეცას ებჯინება, ხოლო ქვემოთ მისი საფუძველი ქვესკნელამდე აღწევს"¹⁴. ეს მითოსური შინაარსით სავსე სიტყვები ახსენდება სარგონ მეორეს ურარტუს ქვეყნის მაღალი მთების ხილვისას. ეს სიტყვები მითოლოგებმა და ყოველ შესაფერ კონტექსტში იხსენება (ასეა დახასიათებული გილგამეშის ეპოსის მაშუს მთები, რომელთა შორის მზის ღმერთი გაივლის ხოლმე დილა-საღამოს). ამგვარი მთის გამოსახულებას გარკვეულად ვხედავთ ნარამსინის ცნობილ სტელაზე: გაღვთაებრივებული მეფე, რქიანი გვირგვინით თავდარქმული (მთვარის ღმერთის, სინის ნიშანი) ძლევა მოსილად მიემართება მთის ფერდობზე. მთა კონუსისებური სვეტის სახით არის წარმოდგენილი, რომლის წვეროკინს ვარსკვლავის გამოსახულება ადგას. ამით ნათქვამია, რომ "ზემოთ მთის მწვერვალი ზეცას ებჯინება".

მესამე განსახება ხსენებული ძერძისა არის ტაძარი ქებაში: "მწვერვალი მისი – ღრუბელთა მიმწვდომი, / ფუძე მისი – ქვესკნელს ჩაზიდული"¹⁵. ხოლო ტაძრის ამშენებელი იტყვის: "მაღლა თხემი მისი ცათამდე ავამაღლე, ქვემოთ ქვესკნელში დავამყარე მისი საძირკველი"¹⁶ ძველი შუამდინარეთის საკრალური

ყოფისათვის სპეციფიკური ნაგებობა – საფეხუროვანი ზიქურათი ამ მითოლოგიების რეალური გამოხატულებაა; ეს გარკვევით ჩანს მის ეპითეტში: ხურსან-ქალამა "მთა ქვეყნისა", რომლის წარმოსახვითი წვერი ცას ებჯინება. "მწვერვალს მისას ცა გვირგვინად ადგას" ნათქვამია ზიქურათის გამო ლაგაშის ერთ-ერთ წარწერაში¹⁷. ამგვარადვეა დახასიათებული გოდოლი, რომელიც სენაარში (იგივე შუმერი) დამკვიდრებულ ხალხს უნდა აეშენებინა და რომელიც "ბაბილონის გოდოლის" სახელწოდებით არის ცნობილი ("ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, ცამდე აღმართული თხემით" წ. შესაქმ. 11,4).

ამ მითოლოგიებს უნდა დაეუკავშიროთ არქაულ შუმერულ საბეჭდავებზე გამოსახული ტაძარი და მის თავზე მოჭიდებული ან დაფრენილი არწივი (ან ანზუდი), იმის დასტურად, რომ ტაძრის თხემი პოტენციურად ცისკენ მიისწრაფვის. ტაძარი ცისა და მიწის კავშირია და სწორედ ეს იდეაა გამოხატული ზიქურათების მეორე სახელში *dur-an-ki*, აქადურად *rikis šame u erçetim* ("კავშირი ცისა და მიწისა").

დავუბრუნდეთ ისევ ხეს. ლოკალურად გამოვლენილი კოსმიური ხის ხატი სხვადასხვა სახელით არის ცნობილი შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში. ზემოხსენებულ შუმერულ მიტში მას ეწოდება ხალუბ, რომელსაც მხოლოდ პირობითად ვარქმევთ "ტირიფს" ან "ალვისხეს". მასზე ნათქვამია, რომ იგი "წმინდა ბურანუნას პირას დარგულიყო, / ბურანუნას წყალი არწყულებდა", ისევე როგორც პირველ ფსალმუნში: "იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგილი თანაწარსადინელსა წყალთასა" (1,3)¹⁸. ამავე დროს ბურანუნა (ეგფრატი) ბიბლიური სამოთხის ერთ-ერთი მდინარეა ოთხთავან.

ასეთივე ხე *mes(um)*, რომლის შესახებ ერთადერთი კონტექსტი იძლევა ცნობას "რომლის ფესვი (სიტყვასიტყვით "საფუძველი") ვრცელ ოკეანეში ასი ბერუს მანძილზეა გადგმული, რომლის მწვერვალი ზენადში ანუს ცას ებჯინება"¹⁹. ერთ შუმერულ ეპოსში ფიგურირებს ჩვენთვის საგულისხმო სახელის მქონე ხე – "არწივის ხე ენქისეული" (შუმ. *giš-hurin-enki-ke*), რომელიც ინანას მთის მწვერვალზე იზრდება²⁰. ეს იმას ნიშნავს, რომ კოსმიური ღერძის სიმბოლო აქ ორი განსახებით არის წარმოდგენილი – მთითა და ხით: მთიდან ამოზრდილი ხე მთის გაგრძელებაა ცის მიმართულებით. მისი ჩრდილი მთელს ლოკალს ეფინება, ხოლო ფესვები გველივით არის ჩაკლაკნილი მიწაში²¹. ამ ხეზე დაუდევს ბუდე და მართვენ გამოუჩეკია ანზუდს. ხის ძირში გველი არ ჩანს, მაგრამ მისი არსებობა შედარებაშია ("გველივით ფესვები") ნაგულისხმევი.

გველი და ფესვი ერთმანეთის ეკვივალენტებია და ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ მითო-რელიგიურ წარმოდგენებში. იმ შორეული შუამერული ხანიდან შედარებით ახალ დროს (რომელიც შორეულს ინახავს) რომ დაეუბრუნდეთ, ანალოგიურ მოვლენას შევხვდებით: გუდანის ჯვარის (ანუ ხატის) გარკვეულ ადგილზე დამკვიდრებასთან დაკავშირებით ასეთი თქმულებაა შემონახული ხევსურეთში: (მომაქვს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კონტექსტი): "დილით ყუდროში იმის შინ იფნ ამასულ კერაში. მაუჭრავ იმის ზედამჩრო ვინაც იყვ. მეორე დღეს კიდე მაუხელავ, კიდე მაუჭრავ. მესამე დილას ველარ მისდგომიან, – გველ იყვავ ზე ამახვეულე"²². ამ იფნის წვეროკინი უსათუოდ ცას უნდა სწვდებოდეს, რაკი ფესვები ქვესკნელში აქვს გადგმული. ამ ხის გამოჩენა მოასწავებს ტაძარს, სადაც ღვთისმშობელი უნდა დამკვიდრდეს, რაკი ამგვარი ხე და ტაძარი ერთი სიმბოლოს განსახებანია.

საგულისხმოა მითოსური შინაარსის მქონე ერთი ლექსი: "ბერი გიორგი მეც ვიყავ, / ცას ვები ოქროს შიბითა, / გორაზე მედგა ბერმუხა, / ზედ ავდიოდი კიბითა"²³. ლაშარის ჯვრის ამ სიტყვებში მსოფლიო ღერძის ოთხი განსახებაა წარმოდგენილი – მთა, მასზე ამოსული მუხა, შიბი (ჯაჭვი) და კიბე. აქ უნდა გავისხენოთ იაკობის მიერ სიზმრად ნანახი კიბე, ცაზე მიდგმული, რითაც აღიოდნენ და ჩამოდიდნენ ღვთის ანგელოსნი ანუ ღვთისშვილნი, ხევსურთა საკრალური ენით რომ ვთქვათ. ამ სიზმრით აღძრულმა იაკობმა მეორე დილით, უკვე ღვიძილში, უხილავი კიბის ადგილზე ხილული სვეტი (maçebah) აღმართა, – კოსმიური ღერძის მიწიერი სიმბოლო, პირველტაძარი (დაბ. 28, 12-18).

ამ მითოლოგიის ვარიანტები უმნიშვნელო ეპიზოდად არის გაფნტული ქართულ ზღაპრებში, სადაც ისინი მითოსის დამსხვრევის შემდეგ მოხვდნენ. ჩვენი მოთხრობის ინტერესისთვის რამდენიმე მათგანს ამოვარჩევთ: გლეხმა გველის ტყავი იპოვნა, ეზოში დააგდო, ხოლო დილით დაინახა, რომ მასზე უზამრმაზარი ალვის ხე ამოსულიყო ("ცაში აქვს წვერი")²⁴. სხვა ზღაპარში ხის ფესვად გველის კუდია მიჩნეული (ხე ოქროებს ისხამს და ოჯახში საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს მისი ამბავი)²⁵. ამავე ზღაპარში ფიგურირებს მეორე სასწაულებრივი ხე: "წვიდა, იარა, იარა და შეხვდა ერთი დიდი ხე, იმხელა იყო, რომ თვალს ვერ აწვდენდა. ირემზე იყო ის დიდი ალვის ხე ამოსული, იმ ალვის ხეზე კიბე იყო, იმ კიბით მზის დედასთან უნდა მისულიყო"²⁶. სხვაგან: "თევზის ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოვიდა, რომ წვერი ცაში ჰქონდა მიბჯენილი"²⁷. ამასთან დაკავშირებით უნდა გავისხენოთ ხე მეს(უმ) "ერას ეპოსიდან" (იხ.

ზემოთ), ხე, რომლის ფესვები ოკეანეშია გადგმული; უმნიშვნელო ფხა თევზისა ამასვე გულისხმობს.

სკანდინავური მითოლოგიის იგდრასილი (იფნი)²⁸, ხევსურული ანდრეზების იფანი, ქართული ზღაპრების ალვის ხე, შუმერული ხალუბ, აქადური *carbatum* – ერთი და იმავე სემანტიკის მქონე სიმბოლოებია. ამგავრი ხე ქვეყნიერების ღერძია, რომელიც ერთმანეთისადმი ჰორიზონტალურად განლაგებულ სკნელებს გადაკვეთს: ქვესკნელს, შუასკნელს (კაცთა სამყოფელს) და ზესკნელს.

მიუხედავად "ემგარ ეტანას" თხრობის დინებას. ჩვენ უკვე განვიხილეთ მისი პირველი ნაკვეთი – პროლოგი ცაში, რომელიც აუცილებელი წინამდებარია იმ ლანდშაფტისა, რასაც არაკის დასწყისში ვხედავთ. პროლოგში კოსმოსური ხე დაიბადა და ამრიგად ეს ლანდშაფტი მითოსური ბუნებისაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გზით ხორცილდება კავშირი "ემგარ ეტანას" ერთიანი თხრობის ორ ნაკვეთს შორის, რომელნიც სხვადასხვა ჟანრს განეკუთვნებიან და განსხვავებული წყაროებიდან მომდინარეობენ. აქ ჩანს ინდივიდუალური შემოქმედის ხელი.

ქვემოთ დავინახავთ, რომ კოსმიური ღერძის იდეა კიდევ რამდენიმე არანაკლებ მნიშვნელოვანი სიმბოლოს სახით ვლინდება "ემგარ ეტანას" თხრობაში.

არაკი გვამცნობს, რომ ხის ფესვებში გველმა დაიბუდა, ხოლო რტოებში – არწივმა. რაკი ჩვენთვის ცნობილია ამ ხის (ცარბათ²⁹) ბუნება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მითოსურ პლანში ამ ორ არსებას შორის კავშირი მიღწეულია (მას "დიდი ღერძის", ორი პოლარული წერტილი აქვთ დაკავებული). მაგრამ არაკისთვის საჭირო გახდა მათ შორის მეორადი კავშირის შეკვრა, რადგან ხსენებული მითოლოგებმა ამ ამბავში მხოლოდ ექოდ გაისმის, თუმცა აუცლებლობით იწვევს მეორად კავშირს – ფიცს. ფიციც ერთგვარი შემაერთი ღერძია (ანუ შიბი, ხევსურული მითოლოგიით), რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ ცხადდება, როცა იგი ცისა, ხმელისა და ქვესკნელის სახელით იდება: "გიღგამეშმა ზეცა დაიფიცა, ხმელი დაიფიცა, ქვესკნელი დაიფიცა"³⁰. ამგარი ფიცი კოსმოსურ ხესავით გამსჭვალავს სამივე სკნელს, ამაშია მისი ძალა³¹.

თუმცა გველი და არწივი სხვაგვარად შეჰფიცავენ ერთმანეთს: მაღალ მთაზე ადიან ისინი. როგორც მთა, ბერძენთა, კიბე, შიბი – ეს ერთმანეთის ტავტოლოგიური საგნები აძლიერებენ ეფექტს მიწისა და ცის კავშირისას, ასევე მაღალი მთა, საფიცარი ადგილი აადვილებს ფიცის მიღწევას შამაშის

გულისყურამდე. ამ მაღალი მთიდან ახლოს არისვარკსვლავიანი ზეცა და ზეცაშივეა ზნეობრივი იმპერატივის წყარო. იგი შამაშშია განსახიერებული. შამაშის ფიცი იურიდიულ ხასიათს ატარებს ("დაე, მეგობრის მოღალატე შამაშმა მკვლელად ჩათვალოს"), თუმცა მეგობრობა ზნეობრივი ფაქტია. შამაშის ფიცი საზეიმოდ წარმოითქმოდა პოლიტიკური შეთანხმების დროსაც, როცა საქმე ეხებოდა ორი ქალაქის დამეგობრებას თუ ზავს, როგორც ლაგაშ-ქალაქის ერთ უძველეს დოკუმენტში სწერია: "მე, – ეანათუმმა უთუს (ე.ი. შამაშის) დიდი ბადე, ბრწყინვალე მეუფისა, უმაელებს ვესროლე და შევფიცე; უმაელებმაც უთუს სახელით, ბრწყინვალე მეუფისა, მე – ენანათუმს შემომფიცეს"³².

ჩვენს არაკშიც ფიგურირებს ამ დოკუმენტში ნახსენები "დიდი ბადის" (შუმ. *šuš-gal*) აქადური შესატყვისი *gišpar*. იგია შამაშის ყოვლისმომცველობის გამხატველი, მისი სხივებისგან მოქსოვილი სათხეველი და ეწოდება მას "შამაშის ფიცი" (*mamit šamaš*). შეფიცულნი ფიცის ძალით მათივე ნებით ექცევიან ბადეში, საიდანაც ვერასოდეს დაადწევენ თავს: "შამაშის ბადეს თავს ვინ დაადწევს? / თვით ავი ანზუ მას ვერ გაექცა".

აქ ნახსენები ანზუ აქადური სახელი ანზუდისა, ლომისთავიანი ფროთოსნისა, რომელიც შუმერულ მითში ხალხების ხის რტოებში ბუდობს, სწორედ იმ ხისა, რომლის ფესვებში მოუნუსხველი გველია დაბუდებული. არაკში გახსენებული არაკის მითოსური წინაპრის რაღაც ავი ნამოქმედრი (დღესდღეობით დაკარგული მითიდან), შესაძლოა, იმის ანალოგიური, რასაც შემდგომ არწივი ჩაიდენს (გველის წიწილების შეჭმა). როგორც ვხედავთ, ლომისსახიან ანზუდს ენაცვლება მისი "შთამომავალი" ბუნებრივი არწივი³³, ხოლო მოუნუსხველ გველს – უბრალო გველი, არამითოსური, რომელიც არაკის მიხედვით სრულიადაც არ არის მოუნუსხველი. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არწივი მაინც გამოავლენს მისი წინაპრის ბუნებას, რითაც იგი დაემსგავსება მსოფლიო ხალხთა მთებისა და ზღაპრების სასწაულმოქმედ ფროთოსანს.

გაყვეთ არაკის თხრობის დინებას: იგი მარტივია. არწივმა დაარღვია შამაშის ფიცი – უმუხთლა გველს და შეჭამა მისი წიწილები. აშკარაა არაკის მორალი: ამგვარი საქმის ჩამდენი უნდა დაისაჯოს. არწივის დაღუპვით უნდა მთავრდებოდეს არაკი.

ასე მთავრდება ანალოგიური არაკი ეზოპეს კრებულიდან: "არწივი და მელა". ამბავი აქაც ერთ ხესთან ხდება, მაგრამ ეს აღარ არის იმ კოსმოსური ხის

განსახება; ძველი მითის დეგრადაცია აქ კიდევ უფრო ძირს ეცემა და საბოლოოდაც. ეზოპეს არაკი ნამდვილი არაკია. მასში აღარ გაისმის მითოსის ექო. "ერთხელ არწივი და მელა დაძმობილდნენ; გადაწყვიტეს მეზობლურად და მეგობრულად ვიცხოვროთი. არწივმა ერთ მაღალ ხეზე აიშენა ბუდე, მელამ კი იქვე ბუჩქნარში დაყარა ლეკვები. ერთხელ, როცა მელა სარჩოს საძებნელად წავიდა, მშიერი არწივი ბუჩქებს დააცხრა, ლეკვები მოიტაცა და თავის მართვეებს მიჰგვარა შესატყმელად... გამოსდა ხანი. არწივმა ზვარაკად შეწირული თხის ხორცი მოიპარა. ხორცს ნაკვერცხალი აჰკვროდა. ქარმა დაუბერა, ნაკვერცხლიდან ალი ავარდა, ბუდეს ცეცხლი წაეკიდა და აღმოდებული მართვეები ძირს გამოვცივდნენ. მელამ დრო იხელთა, ეცა და არწივის თვალწინ შესანსლა უსუსური მართვენი. არაკი გვასწავლის: ფიცის გამტეხი მოძმის განაჩენს რომ გაექცეს, ღვთის განაჩენს ვერსად დაემალეზაო"³⁴.

ასე ამთავრებს ეზოპე არაკს, ერთ-ერთ უძველეს არაკთაგანს, რომელიც ჯერ კიდევ არქილოქეს (VII ს. ძვ. წ.) ჰქონია დამუშავებული. მის ფრაგმენტებში ჩვენთვის საინტერესო დეტალებია შემონახული, რაც არქილოქესეული ვერსიის არქაულობას ადასტურებს: დეტალები ეხმაურება "ეშვარ ეტანას" არაკის ზოგიერთ დეტალს. მაგ.: "საშინელი სადილი მოუტანა ბარტყებს" – არქილოქეს საშინელი იგივეა, რაც აქადური "შამაშის საძულველი". მას შემდეგ, რაც არწივმა მელიის ლეკვები მოიტაცა: "აჰა, კლდე მაღალი, ციცაბო და მიუვალი! აქ ვზივარ და შენთან ბრძოლისა არ მეშინია". ასევე ამბობს აქადური არაკის არწივი: "ავფრინდები და ზეცად ავალ, / იქ დავიკვიდრებ სამყოფელს ჩემსას, / ვინდა იქნება მპოვნელი ჩემი?"³⁵.

არქილოქეს მაღალი და მიუვალი კლდე, სადაც არწივი შემომჯდარა, ცასთან ახლოსაა, ბუნებრივია, მისკენ ისწრაფოდეს არწივი. კლდე იგივე ვერტიკალია ანუ სვეტი მიწისა და ცის დამაკავშირებელი. როდესაც "ეშვარ ეტანას" დემითოლოგიზირებული არწივი ამბობს "ავფრინდები და ზეცად ავალ, იქ დავიკვიდრებ სამყოფელს ჩემსას", ამით იგი თავისი მითოსური წინაპრის ყოფაზე ოცნებობს, ღვთაებრივი ფრთოსნისა, რომელიც ორი სამეფოს შემაერთებელი ღერძის ზემო წერტილშია დავანებული. არწივისთვის, რეალური არწივისთვის, ბუნებრივია შვეულ ხაზზე მზის მიმართულებით ფრენა, რასაც დაუბრკოლებლივ ახორციელებს იგი, მაგრამ ჩვენს არაკში ცოდვით დამძიმებული ფრთოსანი მაღლა ვერ აფრინდება, პირიქით, ქვესკნელში ჩამავალი ორმო გაითხრება მისთვის.

იგავ-არაკული თხრობის ლოგიკით არწივი განწირულია. იგი დაისჯება და ამით დასრულდება არაკი. შამაში შეისმენს გველის ვედრებას და საგულისხმო რჩევას აძლევს მას – თუ როგორ გაუსწორდეს ავისმოქმედს. აღსანიშნავია, რომ მზის ღმერთი უშუალოდ არ უსწორდება მისეული ფიცის დამრღვევს, არ გადისურის სინათლის უხილავი სხივებისგან მოქსოვილ სათხოველს და არ გაახვევს მასში ფრთოსანს. ხოლო გველისადმი მიცემულ რჩევაში მნიშვნელოვანი მითოლოგემა იმალება.

გაჰყევ გზას, – ეტყვის გველს შამაში, – გზაზე ხარის ლემს დაგახვედრებ. მუცელი გაფატრე ხარს და ბუდე მოიწყვე მის შიგანში. სხვა ფრთოსნებთა ერთად არწივიც დააცხრება ხარის ლემს და შეუძვრება შიგანში. შენ ფრთებზე შემოეჭდე არწივს, ფრთები დაუღევე და ორმომი ჩააგდე. დაე, იქ მოკვდეს მშიერ-მწყურვალი!

ამ დარიგებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიგანს და ორმოს. პირველი სიტყვისთვის აქადურ ტექსტში ზის karâşu, რაც აგრეთვე ნიშნავს "დაღუპვას", "განადგურებას", და ამრიგად აქ შესულ არწივს სიკეთე არ მოეღის, რადგან მისთვის სანუკვარი შიგანი ამ სიტუაციაში დამღუპავი შეიქმნება. ფიზიკურ პლანში გამოვლინდება მეტაფორული ფარული პლანი, რასაც თავიდანვე ვერ მიხვდება ან არ ინდომებს არწივი (მიუხედავად მისი "ვრცელაზროვანი" მართვის გაფთხილებისა), როგორც მუდამ ხდება, როცა განწირულია კაცი. ასეთივე ორაზროვანი სიტყვებია გამოყენებული იმ ფრაზაში, რომელსაც ეას შთაგონებით ეუბნება წარღვნის გმირი უთანაფიშთი თანამოქალაქეთ. ეს უკანასკნელი თავიანთ სასარგებლოდ გაიგებენ ფრაზას, სინამდვილეში კი წარღვნის მოვლენა იგულისხმება მასში: სიტყვა kukku ორ მნიშვნელობას ატარებს – შურუფაქელთათვის "ცერცვია" (ციდან რომ მოელიან), სინამდვილეში "წყვდიადი"; kibâti ქალაქის მკვიდრთათვის "ხორბალია" (აგრეთვე ციდან მოსალოდნელი), სინამდვილეში კი – "ნიაღვარი"³⁶.

თუკი ყოფით პლანში ორმო (ხარო, დილეგი) ძველთაგანვე სასჯელის ან ტყვეობის ადგილად ითვლებოდა, მითოსურ პლანში იგი ქვესკნელის სინონიმი იყო³⁷. ორმოს სახით რომ ქვესკნელი ელის არწივს, ეს ჩანს მისი "ვრცელაზროვანი" მართვის გაფრთხილებიდან: "ნუ შეხვალ, მამაჩემო, ხარის შიგანში, გველი არ იყოს შიგ მოკალათებული; ქვესკნელი შეგიპყრობს ("ქვესკნელისგან შეპყრობა" მეტად გავრცელებული ევფემიზმია "სიკვდილის" ნაცვლად).

ამრიგად, ხარის შიგანში თავისი ნებით შესული არწივი იმთავითვე განწირულია, იგი ქვესკნელად ჩადის, საიდანაც უკანმოუქცეველი გზა აღარ ექნება. ასეც ეწოდება სხვანაირად ქვესკნელს – "უკანმოუქცეველი ქვეყანა" (შუმ. *kur-nu-gi-a*, აქად. *erçet la târi*) ანუ როგორც ერთ ქართულ ზღაპარში – "არმობრუნდის ქვეყანა"³⁸. შურისმაძიებელი გველი, ხთონური არსება, ჩაითრევს არწივს თავის სკნელში, ზესკნელის მკვიდრისთვის დასალუპავში (*karaşu* – "შიგანი"). იგი თავისი ტანით შემოეჭდობა მას, შებორკავს, შეკრავს, ქვესკნელივით შეიპყრობს ("შებორკილი" მკვდარის ეგზეგეზიზმი: ქვესკნელის პატიმარი).

ხარის შიგანი მითოსური მნიშვნელობით არის დატვირთული, მაგრამ ყოფით პლანში იგი საქნიერია არწივისთვის. ხარი მისთვის ყველაზე სანატრელი საკვებია³⁹. ჩვენს არაკში ეს ფრინველი ავლენს თავისი ჯიშისათვის დამახასიათებელ ქცევას: შემჩნეულია, რომ იგი საშინელი სისწრაფით აცხრება შორიდანვე დახვერილ ლეშს, მუცელს გაუფარტავს, თავს შეჰყოფს მის შიგანში და შეექცევა შიგნულს. ამრიგად, ჩვენს ეპიზოდში ერთმანეთს ერწყმის ყოფითი და მითოსური სიმართლე: ხარის შიგანის მეტაფორულობა განცხდდა ორმოს სახით, ხოლო ორმოს წიად ქვესკნელით.

არწივი ვერასოდეს ამოვიდოდა "უკანმოუქცეველი ქვეყნიდან", მხოლოდ არაკის პერსონაჟი და უბრალო ფრთოსანი რომ ყოფილიყო. მისი წინაპარი მითოსური არსებაა, რომელიც მსგავსად ქართული ზღაპრების ფასკუნჯისა, ქვესკნელიდან ზენა სამყაროში ადის, მაგრამ არა ეულად, არამედ მის ზურგზე ამხედრებული გმირით. ეს ამბავი, რომელიც სხვადასხვა ვარიანტით ბევრი ხალხის ფოლკლორში მოიძებნება, მოთხრობილია "ეშგარ ეტანას" მესამე ნაწილში. აქ ახალი პერსონაჟი – ეტანა შემოდის თხრობაში, ამიტომ პირობითად მას ეტანას ლეგენდა ვუწოდეთ.

ქალაქ ქიშის პირველი დინასტიის მეფეს, ეტანას ღვთაების თვისებები აქვს მონიჭებული, კერძოდ, ნადირთ ბატონისა. ეტანა აღჭურვილია ნადირთა ბატონის სუმუკანის (იგივე შაქქან) რეგალიებით და იმის გამო მის ხვედრსაც იზიარებს: გარკვეულ ხანს მასთან ერთად იმყოფება ქვესკნელის ბინადართა შორის. ქვესკნელ მისი მარადიული სამყოფელი არ არის; როგორც ნაყოფიერების ღვთაება, იგი მიეკუთვნება მომკვდარ და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებათა წრეს. მესაქონლეობის სეზონის მიწურულში ძალაგამოცლილი, იგი ქვესკნელად ჩადის, რათა იქ ძალა მოიკრიბოს და კვლავ დაუბრუნდეს თავის ჯოგებს სუმუკანთან ერთად. არაკის მიხედვით იგი შობის ბალახს (*šammu ša alâdi*) ეძებს. ფიქრობენ,

თითქოს ეს მაგიური მცენარე ეტანას თავისი ბერწი ცოლისათვის სჭირდებოდა. ამგვარი გაგება პარადოქსს ქმნის: ჯოგების მეუფე, რომლის ხელშია ნაყოფიერების ძალა (სუმუკანის მადლი) მთელი ჯოგისა, საკუთარი მემკვიდრის შობისათვის საშუალებას მესამე ცაზე ეძებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლეგენდა, ისევე როგორც ძველშუმერული საბეჭდავი (აქ გამოსახული ეტანა მართლაც მოიწვეს რაღაც ბალახს), დემითოლოგიზებულ დონეზე ასახავს ნადირთ მეუფის ამბავს. ხთონურმა არსებამ ქვესკნელში უნდა იპოვოს ნაყოფიერების ძალა და ნიშნები, შობის ბალახიც ქვესკნელში იშოვება⁴⁰, რადგან ყოველი ბალახი იქიდან ამოდის და შობის ფესვიც იქ არის, როგორც ყოველი განახლების საწყისი. შესაძლებელია, ეტანა ხთონური და ასტრალური წარმოდგენების სინკრეტიზმის "მსხვერპლი" შეიქმნა⁴¹ და ამიტომაც ნაყოფიერების ღვთაება ქვესკნელის პოლარულ მხარეში, ანუ მესამე ცაზე ეძებს შობის საშუალებას. როგორც არ უნდა ვიფიქროთ, ამ სინკრეტიზმმა არაცნობიერად ასახა უძველი მითოლოგიური წარმოდგენა კოსმიურ დერძზე, როცა ნადირთ მეუფე ეტანა ცაში აიყვანა: ამით მას სამივე სკნელში დაადგმევინა ფეხი. ეს არწივის წყალობით შეიქმნა შესაძლებელი, არწივისა, რომელიც თავად არის დიდი დერძის (*dim-gal*) ან ცისა და მიწის კავშირის (დურ-ან-ქის) ცოცხალი სიმბოლო.

მაგრამ ყოველივე ეს "ეშვარ ეტანას" ავტორის გარეშე არსებობდა. არც არაკი და არც ლეგენდა ლუ-ნანას შეთხზული არ არის, მითუმეტს მათში ჩაქსოვილი მითოლოგიური რემინისცენციები.

ლუნანას დამსახურებაა, რომ მან ერთ "ეშვარში" მოაქცია ორი, ერთმანეთისაგან უანრობრივად განსხვავებული ნაწარმოები. როდესაც მოაზროვნე პოეტის გონებაში ერთდროულად გაიელვა ორმა დამოუკიდებელმა ამბავმა – ერთმა, ცოდვის გამო ორმოში ჩავარდნილი არწივისამ და მეორემ, სადაც იგივე ფრინველი მესამე ცისკენ მიფრინავს და თან კაცი მიჰყავს, – მისმა ინტუიციამ აღმოაჩინა, რომ ამ ორი ამბისგან აიგებოდა გამოსყიდვის დრამა: ის არწივი, რომელიც არაკში ცოდვას სჩადის და იღუპება, "ეშვარ ეტანაში" ცოდვას გამოისყიდის და მობრუნდება "უკანმოუქცეველი ქვეყნიდან"⁴² ავტორის ნებით გველის მტერი არწივი გარდაისახება იმ არწივად, რომელმაც ჯოგების მეუფე ცად უნდა აიყვანოს, როგორც ეს გამოსახულია ძველშუმერულ საბეჭდავზე.

ამრიგად, ლუ-ნანას ნებით არწივისთვის ქვესკნელში შეჩერებული დრო მკვდარი წერტილიდან დაიძვრის. ორმოში ჩაგდებული, დაღუპვის პირამდე (*ina pi karâši*, როგორც სხვაგან არის ნათქვამი) მისული არწივი "მარადღე ევედრება

შამაშს: ნუთუ ორმოში უნდა დავიდუპო? / ვინ უწყის სასჯელის ჩემის სიმძიმე? /
ისხენ სიცოცხლე ჩემი, არწივისა / და სახელს შენსას მარად მოვიხსენებ!
აღადო შამაშმა ბაგე, არწივს ეტყვის: ბოროტ ხარ, მძიმედ მაწყენინე, /
ღმერთებისგან ნაკრძალი გიჭამია. / თუნდაც შემომფიცო, არ მოგივალ! / ჰა, კაცი
ერთი, მას მოგივლენ, / იგი გვექმნება ხელისამპყრობელად".

შამაშის პასუხში ორი რამ არის ნიშანდობლივი: ერთი, შამაში აღარ
ენდობა არწივის ფიცს, რომელმაც ერთხელ უკვე გატეხა იგი. არწივის ფიცი
საიმედო იქნება მხოლოდ ეტანას მიმართ, რომელიც ორმოდან ამოყვანას
დაპირდება მას. მეორე, შამაშის საქციელი სავსებით ეხმაურება ცოდვა-ბრალის
შუამდინარულ კონცეფციას: შუამდინარულ ეთიკაში განიჩევა ცოდვა ცნობიერი
(ანუ ნებისითი) და ცოდვა არაცნობიერი (ანუ უნებური). შეწყალების უშუალო
აქტით ცოდვილს მიეტივება მხოლოდ არაცნობიერი ცოდვა, როგორც ამას
ვხედავთ უბრალო ტანჯულის დრამაში⁴³. არწივმა შეგნებულად დაარღვია
შამაშის ფიცი, ამიტომ მან შეგნებულადვე, საკუთარი ნებით უნდა გამოისყიდოს
დანაშაული: ეტანა აიყვანოს თავისი ზურგით მესამე ცაზე. შამაში ვერ იქნება
მისი უშუალო ხელისამპყრობელი.

სწორედ იმ ხანად, როცა ორმოში ჩავარდნილი არწივი "მარადლე ვეედრება
შამაშს", თავის ქვეყანაში, სულ სხვა ადგილას, ჯოგებს შორის, მათი მწყემსი
ეტანა ასევე "მარადლე ვეედრება შამაშს: შენ შეგეწირა ჩემი პოხილი ცხვარი, /
ჩემთა კრავთა სისხლი მიწაში ჟონავს. / ხომ ვცემდი თაყვანს მე დიად
ღმერთებს, / დემონებს ხომ პატივს ვცემდი! / ... აღმოსხდეს კურთხევა შენთა
ბაგეთ / მომანიჭე მე ბალახი შობისა! / მიჩვენე მე ბალახი შობისა!"

ორი, სხვადასხვა ადგილას წარმოთქმული ვედრება მიიმართება იმ
უმაღლესი არსებისადმი, რომლის სახელითაც თხრობის დასაწყისში დაიდო
მეგობრობის ფიცი. ეს ვედრება კომპოზიციურად აკავშირებს ერთმანეთთან
"ეშვარ ეტანას" ორ ნაკვეთს. ამავე დროს ვედრება, როგორც სულიერი ფენომენი,
სხვა რამ კავშირის განსახებაა.

კოსმოსური ღერძი (*dim-gal*) ამ შემთხვევაში სიტყვიერ-სულიერ
მასალისგან არის შენივთული. თავიანთი მხურვალე ლოცვა-ვედრებით ეტანა და
არწივი ახორციელებენ მიწისა და ცის კავშირს, უფრო სწორად, ამ აქტის
წყალობით მიიღწევა კავშირი მიწიერსა და ზზეციერ არსებას შორის. მიწაზე
სხვადასხვა ადგილას დადგმული კიბე ცაში უკვე ერთ ადგილას არის
მიდგმული, ხოლო ამ კიბის ბოლოს დგას მზის ღმერთი შამაში. ლოცვა-ვედრება,
რომელიც ისეთივე აუცილებელი ეპიზოდია შუამდინარული ეპოსისათვის,

როგორც სიზმარი და მისი ახსნა, თავისთავად გულისხმობს შეწყნარებას. ვედრება-შეწყნარების აქტი თავისებური ბუნებისაა შეამდინარულ (შუმერულ) რელიგიაში, რასაც სავსებით გამოსატავს შუმერული ზმნური ფორმა *šu ba-ši-ti*, რომელიც ჩვეულებრივ ითარგმნება როგორც "მიიღო", "შეიწყნარა", მაგრამ ამგავრი თარგმანი არ იქნებოდა ზუსტი, იგი გააუფერულებდა იმ ნუანსს, რასაც მორფოლოგიურად ატარებს იგი. გამოთქმა იდიომატურია და ნიშნავს "ხელი გაიწვავდა" (იგულისხმება) მახვეწარისკენ (ინფიქსი -*ši-* შეესაბამება ქართულ თანდებულს -კენ). ამრიგად, ვედრების შეწყნარება არ არის პასიური აქტი – იგი ღვთაებრივი ნების გატარებაა ზეციდან მიწისაკენ იმავე სადინარით, რითაც ვედრება მიემართებოდა მიწიდან ზეცისაკენ. სხვა რა უნდა ამ ორ მახვეწარს, თუ არ ციდან მათ საშველად ჩამოწვდილი ხელი? აწ დიდი ხნის გარდასული შუმერული ენის ზმნაში შემონახულია უძველესი, საყოველთაო და დღემდე გაუცვლელი ადამიანური ექსტი. ამ სულიერი ხელშეშველებით გაიხსნება ორი სკნელის შემართებელი გზა, რასაც თხრობის ბოლოს დაადგებიან არწივი და ეტანა.

რა დანიშნულებაც არ უნდა ჰქონდეს "შობის ბალახს", მისი მიწაზე ჩამოტანა კიდევ ერთი საშუალებაა ცისა და მიწის კავშირის (*dur-an-ki*) განხორციელებისა. ციური ნივთის არსებობა მიწაზე თავად ცის მუნყოფის დასტურია. ეტანას შემთხვევა ერთი კონკრეტული გამოვლენაა იმ ფაქტისა, რაც, შუმერული წარმოდგენის მიხედვით, უხსოვარ დროში მოხდა, კაცობრივი ცხოვრების გარიჟრაჟზე, როდესაც ციდან კულტურული ყოფისათვის აუცილებელი საწყისები (შუმ. *me*) იქნა მოვლენილი.

კიდევ დარჩა ერთი ცოცხალი სიმბოლო მსოფლიო ღერძისა და იგი ჩვენი მოთხრობის დინებასთან არის დაკავშირებული. ეს არის "ეშვარ ეტანას" პერსონაჟი არწივი, რომელიც ჩვენი ზღაპრების ფასკუნჯის მსგავსად სამ სკნელს გაივლის: ბნელი სკნელიდან ამომავალი ყივილით ამცნობს ქვეყნიერებას თავის აღმა-ფრენას. ძველმა ხელოვანმა ცილინდრულ საბეჭდავზე აღბეჭდა ეს მომენტი: მზისა და მთვარის გამოსახულებებს შორის შვეულად მფრნი არწივი ცას შეჰყივის და ამით თითქოს ახმიერებს მიწისა და ცის შემაერთებელ დიშგალს⁴⁴.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ლიუ-ნანას ნაწარმოებს "ეშვარ ეტანა" ეწოდება, მისი მთავარი პერსონაჟი მაინც არწივია, თუნდაც იმიტომ, რომ თხზულების ორივე ნაწილში მონაწილეობს. მას თითქოს თავისი ფრთებით გადააქვს ამბავი კომპოზიციის ერთი ნაწილიდან მეორეში. აღსანიშნავია

აგრეთვე მისი განსაკუთრებული სიახლოვე მზის ღმერთთან, შამაშთან⁴⁵; არის მასში მზიური წილი, რაც შემჩნეული იყო ძველთაგანვე: ეს ფრთოსანი ერთადერთ არსებად ითვლებოდა, რომელსაც შეეძლო მზის ელვისათვის თვალი გაესწორებინა⁴⁶. შთამბეჭდავია არწივის სპირალური ფრენა მზისკენ, რაც თითქოს რეალური ილუსტრაციაა ამ ფრინველის მითოსური სახისა. "ეშგარ ეტანაში" იგი შუამდინარული შამაშის მსგავსად ეშვება ქვესკნელში, რათა კვლავ, ახალი ნაკრტენით შემოსული და აღორძინებული, აღდგეს. საღვთო შიშის მომგვრელი უნდა ყოფილიყო კაცისათვის ფრთამოტეხილი და ორმოში ჩავარდნილი არწივის ხილვა. კიდევ უფრო მეტი შიშისა და თან აღტაცების მომგვრელი იქნებოდა ის სურათი, როცა დაღუპვის კარამდე მისული ფრთოსანი ძალუმად შეარხევდა ფრთებს და დაძრავდა სხეულს. ერთი წამიც და მის ზეაფრენას ვერცა ძალა ვერ დააბრკოლებდა ამ დროს იგი ფენიქსი იქნებოდა, საკუთარი ფერფლიდან აღმდგარი, ან ზღაპრული ფასკუნჯი, ქვესკნელის ტყვეობიდან თავდახსნილი ანუ განჭაბუკებული ორბი, განახლების სიმბოლო, როგორც ამბობს წინასწარმეტყველი ესაია: "...იგინი განახლდენ ძლიერებითა მათითა და აღიმკვნენ ახლითა ნაბრდღვენითა ვითარცა ორბნი; რბოდიან და არა დაშვრენ" (40,1).

¹ იხ. G. R. Meyer, *Altorientalische Denkmäler im Vorderasiatischen Museum zu Berlin*, Leipzig, 1965, Abb. 37.

6. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №4

² ამგვარად ვთარგმნი ზმნურ ფორმას *mu-un-gi-na*, ვვარაუდობ რა მასში სილაბურ დაწერილობას ძირისას *gin* ("სვლა"); Th. Jacobsen თარგმნის: "განამტკიცა " (ძირიდან *gin*).

³ Th. Jacobsen, *The Sumerian Kirg List*, 1939, გვ. სტრ. 16-22.

⁴ გილგამეშის ეპოსი, დაფა VII, სვ. IV, სტრ. 49

⁵ თამუზის სიზმარი, თბ., 1969, გვ. 111.

⁶ С. Н. Крамер, *Две шумерские элегии*, М., 1960, გვ. 18, სტრ. 97.

⁷ გამოცემულია: P. Jensen, *Keilinschriftliche Bibliothek*, VI, 1900; S. Langdon, *Babyloniaca*, XII, 1931; E. Ebeling, *Archiv für Orientforschung*, XIV, 1944; ქართული თარგმანი იხ. ღუმუზის სიზმარი, გვ. 107-112.

- ⁸ W.G. Lambert, A Catalogue of Texts and Authors, JCS vol. XV no. 3, 1962: *ěš-gàr e-ta-na ša pi-i lú-Nanna* "ეტანას ნაკვეთი – ლუ-ნანნას მიხედვით (სიტყვ. "პირით)", გვ. 66, სტრ. 11 (კატალოგში მის წინ "ემგარ გილგამეშ" ანუ "გილგამეშის ნაკვეთია" შეტანილი).
- ⁹ შამაშ – მზის ღმერთი მეფობის პრინციპია, როგორც ეს ცხადად ჩანს ერთ ასურულ გამოთქმაში "მეფეს ღმერთების სხეული უდგას, მზეა თავისი ხალხისა".
- ¹⁰ W.G. Lambert, *Babylonian Wisdom Literature*, 1960, Oxford, გვ. 155 და შ.
- ¹¹ იხ. თამუზის სიზმარი, გვ. 148 (ინანა, გილგამეში და ტირიფი); შუმერული დედანი: S.N. Kramer, *Gilgamesh and the huluppu-tree*, 1938, Chicago; В.К. Афанасьева, *Одна шумерская песня о Гильгамеше и её иллюстрации в глиптике* (ВДИ, #1, 1962).
- ¹² Buranuna მდ. ევფრატის შუმერული სახელი
- ¹³ J. Van Dijk, *Les contacts ethiques la Mésopotamie et les synscrétismes de la religion sumérienne*, წიგნში *Syncretism*, ed. Sven S. Hartman, Stockholm, /1969/. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მითოლოგემა ე.წ. შამანურ რელიგიაში და რიგგედას მითოლოგიაში, იხ. Б.Л. Огибенин, *Структура мифологических текстов "Ригведы"*, М., 1968, გვ. 79.
- ¹⁴ F. Thureau-Dangin, *Une relation de la huitième campagne de Sargon*, Paris, 1912, სტრ. 19.
- ¹⁵ F. Köcher, *Ein spätbabylonischer Hymnus auf dem Tempel Ezida in Borsippa* (ZA, 53, 1959).
- ¹⁶ *Die Inschriften Asarhaddons, Königs Assyrien, vom Borger R.*, Graz, 1956, გვ.5.
- ¹⁷ A. Parrot. *Ziggurats et Tour de Babel*, Paris, 1949, გვ. 18.
- ¹⁸ შდრ. "წყლად ევფრატსა უხვად ერწყყო ედემს რგული ალვა მჭკერი" (694,2), "გპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა რწყულისა" (696,3).
- ¹⁹ P.F. Gössmann, *Das Era-Epos, Würzburg*, 1956, სტრ. 150-153.
- ²⁰ Glaus Wilcke, *Das Lagalbandaepos*, Wiesbaden, 1969, გვ. 92-94, სტრ. 28-34.
- ²¹ ასევეა ნათქვამი ტაძარზე: "მისი ფესვი გველივით ეღვარებს (?) წმიდა საძირკველში" (C. Wilcke, *Das Lugalbandaepos*, გვ. 144).
- ²² თ. ოჩიაური, *მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში*, თბ., 1975, გვ. 105.
- ²³ ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, 1972, გვ. 118, №60, აგრეთვე №№ 62, 63.
- ²⁴ ხალხური სიბრძნე, ტ. II, გვ. 24 ("გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე").
- ²⁵ ხალხური სიბრძნე, ტ. I, გვ. 369 ("მზის დედა").
- ²⁶ ამ ირმის ბადალი ერთ ალთაურ ეპიურ ზღაპარში უზარმაზარი შავი ვაცია, რომელიც შორიდან შავ მთად ეჩვენება მაყურებელს. ვაცის რქები ცარგვალს აპობს, ხოლო წვერი მიწას წვედბა. ვაცის ტანზე, როგორც კიბეზე, ადამიანი ციურ სამეფოში ადის (Алтайский эпос Когутэй, М.-Л., 1935, გვ. 102).
- ²⁷ ხალხური სიბრძნე, ტ. I, გვ. 123 ("ცხრა ძმა"). ერთი საგულისხმო დამთხვევაა (რაც შემთხვევით არ უნდა იყოს) ამ ზღაპარსა და შუმერულ მითოსს ("ინანა, გილგამეში და ტირიფი") შორის: ზღაპრის დედოფალი ამ ალვის ხისგან გაკეთებულ ტახტს

მოისურვებს. ინანას სურვილიც ის არის, რომ ხალხობის ხისგან გაუთალონ ტახტი (იხ. თამუზის სიზმარი, გვ. 17).

²⁸ უფროსი ედა, თარგმ. გ. კალანდაძისა, თბ., 1971, გვ. 48: "ზღვარმდები ხე, დიდი იგდრასილი"; გვ. 70: "ხე – შორს, იდუმალ, ღრმად ფესვებგადგმული".

²⁹ ტექსტებში ამ სიტყვა ღვთაების დეტერმინატივი უძღვის წინ, იხ. The Assyrian Dictionary, Chicago, vol. XVI, 109.

³⁰ თამუზის სიზმარი, გვ. 50.

³¹ "რაკი იჭენეულობ, შემოგფიცავ, ნეტარ ღმერთებსაც კი აძრწუნებს ამგვარი ფიცი: დე, მოწმე იყოს ცა, დედამიწა და ქვესკნელი..." (ოდისეა, V, 184-186).

³² F. Thureau-Dangin, Des Inscription de Sumer d'Akkad, Paris, 1905, p. 32, Rs. Col. I 1-12.

³³ ანალოგიური დემითოლოგიზაცია განუცდია ქართულ ფასკუნჯს (ლომისთავიან არწივს), როგორც ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები მოწმობენ (იხ. მ. ჩაჩავა, ფასკუნჯი ქართულ ზღაპრულ ეპოსში, კრებ. ქართული ფოლკლორი, III, 1969, გვ. 265).

³⁴ ეზოპე, იგავ-არაკები, თბ., 1968 (ბერძნულიდან თარგმნა გ. სარიშვილმა).

³⁵ არქილოქეს ფრაგმენტი იხ. Басни Эзопа, М., 1968, გვ. 277.

³⁶ გილგამეშის ეპოსი, თბ., 1963, გვ. 165-166.

³⁷ K. Tallqvist, Sumerisch-Akkadische Namen der Totenwelt, Helsinki, 1934, გვ. 2-3.

³⁸ ალ. ღლონტი, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966, გვ. 308.

³⁹ არქაულ შუამდინარულ საბეჭდავებზე ხშირია სცენა: ხარების თავს ზემოთ მობოინე არწივი (იხ. P. Amiet, La glyptique mésopotamienne archaïque, Paris, 1961, pl. 58, №№782, 784, 785, 789.); შდრ. მითოლოგიური ფორმულა hurin am-še igi-ila-ila-dam "არწივი, ხარისკენ თვალში პერობილი" (იხ. F. Thureau-Dangin, Les Cylindres de Goudéa. Paris, 1905, Cyl. A, XXV, 6; Cyl. A., XXV, 6; Cyl. B, V, 3).

⁴⁰ შდრ. განჯაბუკების ბალახი, რომელიც გილგამეშმა აპსუს (მიწისქვეშა ოკეანის) ფსკერზე მოძებნა (გილგამეშის ეპოსი, დაფა X, 267-274).

⁴¹ ამგვარი სინკრეტიზმის თაობაზე იხ. J. Van Dijk, Les contacts ethniques dans la Mésopotamie et les syncrétismes de la religion sumérienne (Syncretism, ed. Sven S. Hartmann, Stockholm /1969/).

⁴² ქვესკნელ "უკანმოუქცეველია" მხოლოდ ეგზოტერული მითოლოგიის თვალსაზრისით. სინამდვილეში ქვემო და ზემო სამყაროს შორის განუწყვეტელი კავშირია, რაც გარკვეული წრის ღვთაებების წყალობით ხორციელდება.

⁴³ თამუზის სიზმარი, გვ. 128-134.

⁴⁴ ლუგალბანდის ეპოსში ანზუდის ხმა ორ სკნელს აერთებს ერთმანეთთან: "მამლის ზარი ცას მისწვდა, დედლის ზარი უფსკრულს მისწვდა" (C. Wilcke, Das Lugalbandaepos, გვ. 100, სტრ. 78-79). მითოსურ პლანში დედალ-მამალი ერთი არსებაა; ქვემოთ მიმართული ხმა მდებარეულად არის გააზრებული, რაკი სამყაროს ქვედა ნაწილი მდებარეული ბუნებისაა (ქი-შარ); ხმა, მაღლა მიმართული, მამრულია.

⁴⁵ მოგვიანებით აშურულ ხელოვნებაში მზის დისკოს (მირგვალას) არწივის ფრთები აქვს შესხმული.

⁴⁶ ეს მოვლენა აღნიშნული აქვს დანტეს საგულისხმო კონტექსტში: "როს ბეატრიჩეს თვალი მოვკპარ მარცხნით მიდრეკილს, მზეს გასცქეროდა, ისე როგორც ჯერ არასოდეს არ შეუხედავს არწივთაგანს ამ მნათობისთვის" (სამოთხე, I, 46-48).